KARR0145456461222

№18/02
18 / იანვარი / 2022 წ.

სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ
რამაზ ობოლაძეს

[redacted]

მოხსენებითი ბარათი სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის I კვარტლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის I კვარტლის სამოქმედო გეგმა (შემდგომში 2022 წლის I კვარტლის გეგმა) შემუშავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის N1-1/624 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის #11/624 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ფუნქციაა, განახორციელოს დოკუმენტური ან/და ტექნიკური შემოწმება იმ ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ სამომხმარებლო პროდუქტებზე, რომლებზეც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია სააგენტო. კერძოდ: სანთებელები, შეცდომაში შემყვანი პროდუქტები, სათამაშოები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობები. პრიორიტეტულობის თვალსაზრისით, 2022 წლის I კვარტალში საზედამხედველოდ შერჩეულ იქნა სამი მიმართულება, კერძოდ: სათამაშოები, აირად საწვავზე მოწყობილობები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

შემოსავლების სამსახურის პორტალზე ატვირთული იმპორტის წინასწარ შეტყობინებებსა და ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქტების ინსპექტირებისას მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა ეკონომიკური ოპერატორები და მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტები. შესაბამისად, წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იქნებიან ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებზე ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურის განხორციელების მიზნით. მითითებული ეკონომიკური ოპერატორების შერჩევისას ასევე გათვალისწინებულ იქნა, მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მოცულობა, რაც მნიშვნელოვანია რისკების პრევენციის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ დანართში მითითებულია შესამოწმებელი ობიექტები, აღნიშნულ ობიექტებში დოკუმენტურ და ტექნიკურ შემოწმებას დაქვემდებარებული პროდუქტების რაოდენობა წინასწარ უცნობია და დამოკიდებულია საბაზრო სუბიექტებს შორის გაფორმებული კონტრაქტებისა და საფრთხის შემცველი პროდუქტების რაოდენობაზე,

ასევე თითოეულ ასეთ ობიექტში პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგებზე. ამასთანავე, 2021 წლის 1 დეკემბრიდან ,,აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ'' და „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტების აღსრულებითი ნაწილების ძალაში შესვლის შემდეგ, პირველად უნდა განხორციელდეს აღნიშნულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, აღსრულებითი ზომების გამოყენებას. თუმცა, 2021 წლის 1 დეკემბრამდეც ხორციელდებოდა შემოწმებები აღნიშნული რეგლამენტების მოქმედების ქვეშ შემავალ პროდუქტებზე, რაც მიზნად ისახავდა ეკონომიკური ოპერატორების ინფორმირებას და მათი მხრიდან მზაობის დონის ამაღლებას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესამოწმებელი ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა განისაზღვრა იმის გათვალისწინებით, რომ ინსპექტირების პროცესში შეიძლება ერთ ეკონომიკურ ოპერატორთან საჭირო გახდეს რამდენიმე ინსპექტირების განხორციელება. აღნიშნული ინსპექტირებების შედეგები მოგვცემს რისკების ანალიზისა და ბაზარზე ზედამხედველობის დაგეგმვის ეფექტურ შესაძლებლობას.

დანართში მოცემული მონაცემები: პროდუქტების ჩამონათვალი, ადგილმდებარეობა, ეკონომიკური ოპერატორების დასახელება შესაძლოა შეიცვალოს საბაზრო გამოწვევების, განსახორციელებელი ინსპექტირებების ეფექტურობის, ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციისა და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის მე-3 კვარტალში ქვეყანაში შექმნილმა ეპიდსიტუაციამ შეუძლებელი გახადა კვარტლის გეგმის სრულად შესრულება, 2022 წლის I კვარტალშიც დასაშვებია, რომ ეპიდვითარების გაუარესებამ ხელი შეუშალოს ინსპექტირებების სრულად განხორციელებას. ზედამხედველობის ფარგლებში მოხდება:

- ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო პროდუქტების (ინდივიდუალური დაცვის საშუალებები) შემოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N82 დადგენილებით დამტკიცებულ „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან, ხოლო აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება.

- ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო პროდუქტების (აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების) შემოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებულ „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან, ხოლო აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება.

- ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო პროდუქტების (სათამაშოები) შემოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N47 დადგენილებით დამტკიცებულ „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" მოთხოვნებთან, ხოლო აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება.

წინამდებარე გეგმაში მითითებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობეის შემოწმების საჭიროება ასევე განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 2021 წლის პირველი დეკემბრიდან, სრულად შევიდა ძალაში საქართველოს

მთავრობის N82 დადგენილება „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, ასევე საქართველოს მთავრობის N84 დადგენილება „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ და ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ვალდებულია ტექნიკურ რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამო ან/და საფრთხის შემცველი პროდუქტის აღმოჩენის შემთხვევაში ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ან/და აღკვეთის გზით დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. უფრო ადრე კი, 2021 წლის 1 ივლისიდან, სრულიად შევიდა ძალაში საქართველოს მთავრობის N47 დადგენილება ,,სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე''. შესაბამისად, სააგენტოს მიერ განსაზღვრული რისკების ფარგლებში ხორციელდება იმპორტის წინასწარი შეტყობინებით წარდგენილი განცხადებების განხილვა, რაც ეკონომიკური ოპერატორების მიერ განხორციელებული იმპორტის მოცულობის მონაცემებს იძლევა.

ზემოაღნიშნული პროდუქტების 2022 წლის I კვარტლის გეგმაში შეტანის საჭიროება გამომდინარეობს შემდეგი ფაქტორებიდან:

სათამაშოების შემოწმების საჭიროება განპირობებულია მომხმარებელზე შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის მასშტაბის გათვალისწინებით, სათამაშოები გამიზნულია მომხმარებელთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, კერძოდ კი ბავშვებისთვის, შესაბამისად, სათამაშოებიდან მომდინარე საფრთხე და შესაძლო ნაგატიური ზეგავლენა მნიშვნელოვანია. იგი მოიცავს დახრჩობის, გაგუდვის, დამწვრობის, ელექტროშოკის, მოწამვლის და სხვა საფრთხეებს. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენადაც მითითებული პროდუქტის მომხმარებელზე შესაძლო ნეგატიური შედეგების მნიშვნელობა არსებითია, 2022 წლის I კვარტლის გეგმაში შესამოწმებელი პროდუქტების გარკვეულ ნაწილს შეადგენს სათამაშოები.

აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შემოწმების საჭიროება განპირობებულია მომხმარებელზე შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის მასშტაბების გათვალისწინებით, კერძოდ, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების გამოყენებას უკავშირდება ბუნებრივი აირის გაჟონვა და ბუნებრივი აირის არასრულ წვასთან დაკავშირებული საფრთხეები, ასევე ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სხვა საფრთხეები. შესაბამისად, აღნიშნული საფრთხეების მნიშვნელობიდან გამომდინარე პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული ზედამხედველობის განხორციელება აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობებზე. ამასთან, აღნიშნულ კვარტალში პირველად განხორციელდება შემოწმებები მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობის N84 დადგენილება „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 2021 წლის 1 დეკემბერს სრულად შევიდა ძალაში.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შემოწმების საჭიროება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით, კერძოდ: ტექნიკური რეგლამენტის თანახმად ინდივიდუალური დაცვის საშუალებას წარმოადგენს პროდუქტი, რომელიც დაპროექტებული და დამზადებულია ადამიანის მიერ სატარებლად ან დასაჭერად/დასაკავებლად და განკუთვნილია ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე რისკის თავიდან ასარიდებლად. ამავე ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ასეთ რისკს წარმოადგენს მაღალი ტემპერატურა, რომლის ეფექტიც უთანაბრდება სულ მცირე 100 °C ჰაერის ტემპერატურის ეფექტს, ელექტრული შოკი და ძაბვის ქვეშ მუშაობა, დახრჩობა, სიმაღლიდან ვარდნა და სხვა. ინდივიდუალური დაცვის საშუალების მომხმარებელზე შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის მოცულობის გათვალისწინებით კი აღნიშნული პროდუქტი ჩაითვალა ერთ-ერთ პრიორიტეტულ პროდუქტად. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ზედამხედველობის გეგმაში შეყვანა ასევე განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ აღნიშნულ კვარტალში პირველად განხორციელდება შემოწმებები მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობის N82 დადგენილება „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 2021 წლის 1 დეკემბერს სრულად შევიდა ძალაში.

სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ფუნქციას ასევე

წარმოადგენს დეპარტამენტის ყოველკვარტალური სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავება და სააგენტოს უფროსისათვის დასამტკიცებლად წარდგენა. აღნიშნული ფუნქცია თავისთავად მოიცავს, როგორც სამოქმედო გეგმაში შესატანი პროდუქტების მოძიებას და დადგენას, ასევე იმ ეკონომიკური ოპერატორების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, რომლებსაც გეგმაში მითითებული პროდუქტები აქვთ ბაზარზე განთავსებული.

ეკონომიკური ოპერატორებისა და ბაზარზე განთავსებული პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად გამოყენებულ იქნა 2021 წლის IV კვარტალში ზედამხედველობის პროცედურების განხორციელებისას გამოვლენილი ეკონომიკური ოპერატორების შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებულ იქნა შემოსავლების სამსახურის პორტალზე ატვირთული იმპორტის წინასწარი შეტყობინებების ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიცირებისთვის ასევე გამოყენებულ იქნა ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ინფორმაცია. ეკონომიკური ოპერატორების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და დაზუსტების პროცესი გაგრძელდება ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურების პარალელურად.

2022 წლის I კვარტლის გეგმით, ზედამხედველობის პროცედურების განსახორციელებლად შერჩეულ იქნა ქალაქი თბილისი, ქუთაისი და გარდაბნის რაიონი. თბილისის ფარგლებს გარეთ, დამატებით სხვა ქალაქების შემოწმების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ზედამხედველობის ქვეშ მოექცეს არა მხოლოდ თბილისში, არამედ თბილისს ფარგლებს გარეთ არსებული ის ეკონომიკური ოპერატორებიც, რომლებიც სათამაშოების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების მნიშვნელოვანი მოცულობის რეალიზაციას ახორციელებენ. სულ შეირჩა 25 ეკონომიკური ოპერატორი, ინსპექტირების ფარგლებში მოხდება თითოეულ მათგანთან რამდენიმე პროდუქტის შემოწმება. ამასთან, უნდა გადამოწმდეს 12 ეკონომიკური ოპერატორის 23 სათამაშო, რომელთა მიმართ წინა კვარტალში გამოიცა დადგენილებები რეალიზაციის შეჩერების შესახებ. რეალიზაციის ადგილებში შემოწმებებთან ერთად, ხორციელდება საბაჟოზე იმპორტით შემოსული პროდუქციის დოკუმენტური კონტროლი.

2022 წლის I კვარტლის გეგმის მომზადების მიზნით ასევე გამოყენებულ იქნა შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტიორებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომლის მოწოდებაც განხორციელდა 2021 წლის 15 ივლისს. შესაბამისად, მიმდინარე კვარტლის გეგმა გარკვეულწილად ეფუძნება იმ მონაცემებს, რომლებიც ასახავს 2020-2021 წლებში ეკონომიკური ოპერატორების მიერ განხორციელებული იმპორტის რაოდენობას.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად